



03.03.2015

„მწვანე ალტერნატივა“ კულტურის მინისტრის ბრძანებას საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრებს

ახალი ამბები



დათო ფარულავა

შეუერთდი განხილვას

ამავე თემაზე

სააპელაციო სასამართლომ საყდრისის საკითხზე RMG GOLD-ის სარჩელი არ დააკმაყოფილა

„მწვანე ალტერნატივა“ კულტურის მინისტრის მიერ 12 დეკემბერს მიღებულ ბრძანებას, საყდრისი-ყაჩაღანისთვის კულტურული ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრებს.

როგორც ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე „ლიბერალთან“ საუბარში აღნიშნავს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დასკვნის

საფუძველზე სტატუსის მოხსნის შესახებ ბრძანება კულტურის სამინისტრომაც გამოსცა.

„მინისტრმა გუშინ განაცხადა, რომ სააპელაციო სასამართლოს დავალება უკვე შესრულებულია, რაც ასე არ არის. ვერ ვიტყვით, რომ ძეგლის სტატუსის შესახებ ვითარება საფუძველიანად შეისწავლეს. ბრძანებები ერთ დღეში გამოსცეს და ეს ვერ მიიჩნევა სასამართლოს მოთხოვნის შესრულებად, როგორც ამას მინისტრი ამბობდა გუშინ. კულტურის მინისტრმა უარი გვითხრა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, რომელიც ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბრძანებას ეხებოდა. უარი გვითხრა იმ მიზეზით, რომ, მისი თქმით, ჩვენ არ ვიყავით მხარე, რომელსაც ზიანი მიადგა“, - უთხრა „ლიბერალს“ გუჯარაიძემ.

გუჯარაიძის განმარტებით, მინისტრის ბრძანება საქართველოს მთავრობასთან გაასაჩივრეს, საიდანაც პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

„მწვანე ალტერნატივა“ საქალაქო სასამართლოში სარჩელს მომდევნო კვირას შეიტანს.

„ის, რასაც სასამართლო გავალებს, უკვე შესრულებული გვაქვს“, - განაცხადა გუშინ მიხეილ გიორგაძემ. მისი თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილება ეხებოდა არა სტატუსს, არამედ წინამდებარე ადმინისტრაციული აქტების გაუქმებას, რომლებიც მისი ბრძანებით უკვე გაუქმებულია და ეს საქმის შინაარსობრივ მხარეზე გავლენას არ მოახდენს.

გუშინ თბილისის სააპელაციო სასამართლომ კომპანია RMG GOLD-ის, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსა და საქართველოს მთავრობის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ გაბათილდა კულტურის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება, საყდრისისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის თაობაზე. უწყებას დაევალა, თავიდან განეხილა სტატუსის საკითხი კანონმდებლობის შესაბამისად.




Add a comment...

Also post on Facebook


Posting as **Natalia Ksovreli** ▾

Comment

Facebook social plugin



ინტერნეტ მოდემი უფასოდ!



სახლში მიტანის სერვისი

☎ 2 100 100